# ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2020 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმა შეადგენდა 5 126 000 ლარს, წლის განმავლობაში სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით გაიზარდა 13 852 900 ლარით და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 18 978 900 ლარი, რაც გასული 2019 წლის დაზუსტებული ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილი იქნა 5 674 600 ლარით 43%-ით. საიდანაც 14 406 000 ლარი, მიიმართა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის.

2020 წლის ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით როგორც გეგმა არის გაზრდილი, ასევე შესრულების ხაზითაა გაზრდილი. შემოსავლები 18 184 147 ლარიდან შესრულდა 100%-ით და შემოვიდა 18 180 000 ლარი. გადასახდელების გეგმა 18 978 900 ლარიდან ათვისებული იქნა დაახლოებით 15 600 000 ლარი 83%.

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები განსაზღვრული იყო:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
2. განათლება;
3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
5. მმართველობა და თავდაცვა.

## ❖ შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

**შესყიდვების სამსახურის** მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე, წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად განხორციელდა რამდენიმე სახის 210 შესყიდვა, მათ შორის: 53 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 10-კონსოლიდირებული და 147 გამარტივებული სახით.

გამოცხადდა და დასრულდა ტენდერები, მომსახურებასა და სამუშაოებზე ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით. კერძოდ:

- ქ. ონში ამხანაგობა "კახაბერი 7" - ს საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.
- ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.
- სოფელ სორგითში წმ. გიორგის ეკლესიის მისასვლელი გზისა და ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - რეაბილიტაცია
- ქ. ონის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა (II ეტაპი).
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბარში და სორში წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღების საჯარო სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოები
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიორას საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ონის მუნიციპალიტეტის სოფ პიპილეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია
- ონის მუნიციპალიტეტის მერიის ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟი
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის, უწერისა და პიპილეთის წყალმომარაგების გარე ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ.ონში არსებული სპორტული კომპლექსის ექსპლუატაციისთვის დამატებით საჭირო სამუშაოები
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სორის სანიაღვრე სისტემის (პირველი უბანი) სარეაბილიტაციო სამუშაოები

- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაგვანთაში მდინარე საკაურაზე: 1) დამცავი ლოდნარის მოწყობა, 2) დამცავი ლოდნარის მოწყობა მდინარის მარცხენა სანაპიროზე, 3) დამცავი ლოდნარის მოწყობა ხიდთან და მდინარის კალაპოტის ფორმირება.
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ხირხონისში 1. შიდა საუბნო გზის გაფართოება რეაბილიტაცია; 2.შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და ლითონის გადამღვრელების მოწყობა; 3.შიდა საუბნო გზის გაფართოება და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია; 4.სანიაღვრე არხის მოწყობა.5. მეორე შიდა საუბნო გზის გაფართოება და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სორგითსა და ღუნდაში მეწყრული მონაკვეთის, მისასვლელი გზის და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ფარავნეში, ნაკიეთი, შეუბანი, ხურუთი, წოლა, ჭალა, კომანდელი, სორგითი, კვაშხიეთი, სევა, ჭიბრევი) გარე განათების მოწყობის სამუშაოები.
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: სევაში, ფარახეთსა და ჭიბრევში, შარდომეთში შიდა საუბნო გზების და სამთისში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ხირხონისში, ქორთასა და სხიერში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.
- სოფელ შეუბანში გზისა და სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: უწერაში (ჟამიერეთის უბანი) და ფარავნეშში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯინჭვისში მდინარე რიონზე ნაპირსამაგრის მოწყობის და მდინარე გომბრულაზე კალაპოტის ფორმირების და ნაპირამაგრის მოწყობის სამუშაოები
- ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბარი-მრავალძლის (ეკლესიამდე მისასვლელი) გზის ასფალტირების სამუშაოები
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სევაში, შარდომეთსა და ახალ ჩორდში წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ საკაოში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- სოფელ ცხმორში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ღარის და შეუბნის საჯარო სკოლებში გარე სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლაში დაზიანებული გზის სავალი ნაწილისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟაშქვაში ეკლესიის დამხმარე შენობის შეკეთების სამუშაოები
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზუდალში წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**დასრულდა 2020 წელს** ქ.ონში არსებული საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო-საკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა და ქ. ონში ბეერ-შევას სახელობის დასასვენებელი პარკის, მურმან ლებანიძის სანაპიროს, სააკაძის ქუჩისა და სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა.

**ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით ამა წლის პერიოდში რეგულარულად ხდებოდა:**

- გზების თოვლისაგან და მეწყრისაგან ჩამონაშალის წმენდის სამუშაოები;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მაწანწალა ძაღლების იზოლაცია და გაყვანა;
- ქალაქ ონში არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის, ხე-ბუჩქოვანი მცენარეების შეძენა-დარგვისა და თანმდევი მოვლა-პატრონობის მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვა.
- ქალაქ ონში და სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

- ონის მუნიციპალიტეტში გარე განათების ტექნიკური მომსახურება;

2020 წელს ასევე განხორციელდა **სოფლის მხარდამჭერის პროგრამა,** რომელშიც შედიოდა 63 სოფელი. მათ შორის გაფორმდა სულ 52 ხელშეკრულება.

**მიმდინარე სამუშაოებია:**

- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღებში მდ. ჯოჯოშურის კალაპოტის წმენდა-ფორმირება, დაზიანებული გზისა და ნაპირსამაგრის აღდგენა-რეაბილიტაცია და მდ.რიონზე საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები; სოფელ ღებში მდ. რიონის კალაპოტის წმენდა- ფორმირება და ნაპირსამაგრის აღდგენა-რეაბილიტაცია ლოდებით და რკინა-ბეტონით (პირველი ეტაპი).
- ქ.ონის ტერიტორიაზე არსებული არხების მოწყობა-რეაბილიტაცია
- ქ.ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარში მდებარე კულტურის სახლის შენობის გათბობის სისტემის მოწყობა
- ქ. ონში არსებული საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოები

**2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგების** სალიკვიდაციო სამუშაოების დეტალური პროექტის მომზადება და მოზადებული დეტალური პროექტის სშესაბამისად სამშენებლო სამუშაოებზე გაფორმდა 8 ხელშეკრულებ

- **ზედამხედველობის სამსახურის**

2020 წლის 01 იანვრიდან დღემდე სამსახური ახორციელებს დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას კერძოდ ტექნიკურ ზედამხედველობას უწევს ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, ასევე აწარმოებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქმისწარმოებას.

წელს ჩვენმა სამსახურმა ტექნიკური ზედამხედველობა გაუწია ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ 15 პროექტს, საერთო ღირებულებით 283 878 ლარი. ( წყლის სიტემების რეაბილიტაცია, შიდა გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარეგანათების წერტილების დამატება )

ასევე ტექნიკური ზედამხედველობა გაეწია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ 68 პროექტს, საიდანაც 31 წყალსადენის რეაბილიტაციაა, 22 მისასვლელი და შიდა გზების რეაბილიტაცია, 6 გარე განათების წერტილების მოწყობა, 3 სანიაღვრე არხების მოწყობა, 1 სკვერის მოწყობა, 4 მინი სტადიონის მოწყობა, 1 წისქვილის რეაბილიტაცია. პროექტების ჯამური ღირებულება 738 000 ლარია, საიდანაც 638 000 ლარი მუნიციპალიტეტს გამოეყო საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხოლო 100 000 ლარი ადგილობრივის ბიუჯეტიდან თანადაფინანსებაა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროექტების შესრულების ხარისხს და ვადებს. მუდმივად ხდება მეწარმეების სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილება ხარისხთან და ვადებთან დაკავშირებით, რამდენიმე მეწარმე დაჯარიმდა შესაბამისი თანხით პროექტის ვადა გადაცილებით დასრულების გამო , ხოლო ერთ მეწარმეს ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისათვის.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ( ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა ) 50 ლარით დააჯარიმა 6 მოქალაქე.

წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე პროექტის დარღვევისათვის შეჩერდა ერთი მშენებლობა (ქ. ონში დავით აღმაშენებლის ქუჩა N 54 ვ. მრავალ ფუნქციური შენობა)

- **ეკონომიკის სამსახური**

<u>საერთაშორისო პროექტები:</u>

***ეკონომიკის სამსახური*** ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, ამ მიზნით 2020 წელს დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტის **საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2020-2023წწ.** დოკუმენტის მიზანია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების იდენთიფიცირება, ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების/გამოწვევების გამოვლენა, ასევე, განვითარების ისეთი შესაძლებლობების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციების დანერგვას და განვითარებას. [1]

ასევე ონის მუნიციპალიტეტის მერია შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას **„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4GE),** რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2016 წელს და ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში (საქართველო, უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, აზერბაიჯანი,სომხეთი). პროექტის მიზანია გრძელვადიანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შექმნა, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე იქნება მიმართული. აღნიშნულ ინიციატივაში გაწევრიანება ქმნის ახალ შესაძლებლობებს ონის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდისა და დონორებისგან დამატებითი მხარდაჭერის მოპოვებისთვის.

ონის მუნიციპალიტეტის მერიასა და **„გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP**)“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება საგრანტო პროექტზე - „Covid-19 პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემსუბუქება ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის გზით“. (60 000 ლარი)

**ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება შემდეგი აქტივობები:**

1. ტურისტული დანიშნულების ადგილებთან **სეზონური პავილიონების მოწყობა,** რაც ადგილობრივ ახალგაზრდებს, ქალებს, შშმ პირებს, დამწყებ მეწარმეებს, გლეხებს საშუალებას მისცემს საკუთარი ნაწარმის და ხელნაკეთი აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა უზრუნველყონ როგორც გაზაფხულ-ზაფხულის სეზონზე, ასევე სხვადასხვა ფესტივალის დროს;
2. **ტურისტული ბილიკების მარკირება** და სანიშნე აბრებზე 3-ენოვანი ინფორმაციის მატარებელი **QR კოდების დატანა;**
3. ქ. ონის შესასვლელში კეთილმოწყობილი **გადმოსახედის (ბელვედერის) მოხატვა** შესაბამისი ესკიზებით, რომელშიც პროფესიონალებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მოზარდები - ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის“ მოსწავლეები;
4. **მონუმენტის**, ონში შესასვლელი მთავარი **ხიდის, ჯებირების განათება და მოაჯირების დეკორატიული მორთვა ყვავილებით;**

[1] აღნიშნული აქტივობა ხორციელდება „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარების“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (AYEG) ახორციელებს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსთან (LDA) ერთად. თავის მხრივ, პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორი პროექტის ფარგლებში ხორციელდება დანიის საგარეოს საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (ADC) მხარდაჭერით.[1]

5. **გიდების** ბაზაში აღრიცხული ადგილობრივებისათვის **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების** (მ.შ. ინგლისური ენის სასწავლო კურსის) ორგანიზება რათა ხელი შეეწყოთ საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში.

მიმდინარე წელს მერიამ ითანამშრომლა ჩეხეთის რესპუბლიკის **კარიტასთან**, რომელიც ფინანსდება სლოვაკეთის მთავრობის მიერ. კარიტასმა ონის მუნიციპალიტეტში განახორციელა 2 პროექტი:

**1.პროექტი - "კორონავირუსით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური შედეგების შემსუბუქება რაჭაში"**

ა) 72 ოჯახს ონის მუნიციპალიტეტში გადაეცა ოჯახზე 20 ფრთა ქათამი, 2 თვის სამყოფი საკვები, ვეტ-პრეპარატები და უფასო კონსულტაციის შესაძლებლობა ქათმების მოვლა-პატრონობის შესახებ. ჯამში 1440 ფრთა ქათამი დარიგდა ონის მუნიციპალიტეტში.

ბ) 11 მცირე გრანტი დაფინანსდა ონის მუნიციპალიტეტში, გრანტის მაქსიმალური ოდენობა 5,000 ლარი. იანვრის თვიდან დაიწყება ტრენინგები მცირე მეწარმეების უნარების გაუმჯობესების კუთხით.

**2. პროექტი "მწვანე აქტივობების მხარდაჭერა ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარების გზით"**

ა) ჩატარდა კვლევა ნარჩენების მართვის კუთხით არსებული პრაქტიკის შესახებ;
ბ) შემუშავდა ნარჩენების მართვის მოდელი, რომელიც განხილვის სტადიაში ონის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელ გუნდთან თანამშრომლობით;
გ) ხელშეკრულება დაიდო სეპარირებული ნაგავმზიდის მომწოდებელ კომპანიასთან, 6მ$^3$-ის მოცულობის ნაგავმზიდი ადგილზე იქნება 30 აპრილამდე;
დ) ხელშეკრულება დაიდო ნარჩენების ურნების მომწოდებელ კომპანიასთან, შეძენილი იქნება 60 ცალი 1100 ლიტრიანი მეტალის კომტეინერი და 135 ცალი 240 ლიტრიანი კონტერინერი.
ე) ტარდება ტრენინგები მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან;
ვ) ტარდება საგანმანათლებლო გაკვეთილები როგორ ვმართოთ ნარჩენები (როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული) ონის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებთან;
ზ) შემუშავების სტადიაშია ვიდეო რგოლები კომპოსტირების გამოყენების შესახებ, რომლის პრაქტიკული გაკვეთილები დაიწყება მარტიდან.

- <u>საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია.</u>

ონის მუნიციპალიტეტში **საავტომობილო გზების დეპარტამენტი** ახორციელებს, როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა რეაბილიტაციას. ამ მიმართულებით საინვესტიციო პორტფელის მოცულობამ 2020 წელს 24 088 886 ლარი შეადგინა:

**შქმერი-ზუდალის** კმ40.9-კმ48.6 მონაკვეთის რეაბილიტაცია - 20 888 888 ლარი.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-121) საგლოლო-ჭიორა-ღების საავტომობილო გზის კმ12-ზე **მდ. ჩვეშოზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა - 1 299 999 ლარი.**

ონის მუნიციპალიტეტში სოფ. **ღებსა და პატარა ღებს შორის** დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე, მდ. რიონზე არსებული **დაზიანებული ხიდის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის** სამშენებლო სამუშაოები - 1 899 999 ლარი.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია **მუზეუმისათვის ახალი შენობის მშენებლობა**, რომელიც **მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება** და მისი ბიუჯეტი **5 522 185** ლარს შეადგენს.

- <u>**გაზიფიცირება**</u>

2020 წელს გაზიფიცირდა ონის მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლები: **შარდომეთი, ახალი ჩორდი, სევა, ფარახეთი, ზუდალი, კვასხიეთი, შრომის უბანი და წმენდაური.** ღირებულება 1 845 640 ლარი.

- <u>**თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების აღიარება**</u>

მერიაში შექმნილია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების **აღიარების მუდმივმოქმედი კომისია.** კომისიამ მიმდინარე წელს 143 განაცხადზე მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, 8 განაცხადზე სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო მიიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება, ხოლო 127 განაცხადზე მიმდინარეობს საქმის წარმოება.

## ❖ ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურ

ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, თავის მუშაობას წარმართავს წინასწარ შედგენილი წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც გამომდინარეობს ონის მუნიციპალიტეტის მერიისა და სტრუქტურული ერთეულის დებულებებიდან, მთავრობის დადგენილებებიდან, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებიდან, რომლებიც არეგულირებენ სტრუქტურული ერთეულის წინაშე მდგომი მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

● **განათლება :** სკოლამდელი განათლება: მუნიციპალიტეტში ერთი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა- ბაღია, სოფელ გლოლის საბავშვო ბაღის ფილიალით, ცხრასაათიანი დღის რეჟიმით. მუნიციპალიტეტში გახსნილია სამი სასკოლო მზაობის ჯგუფი: სოფელ უწერის სასკოლო მზაობის ჯგუფი - ორი ბავშვი, სოფელ პიპილეთის სასკოლო მზაობის ჯგუფი - ორი ბავშვი, სოფელ ღების სასკოლო მზაობის ჯგუფი - ორი ბავშვი. აღნიშნულ ჯგუფებში ბავშვები გადიან სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს. სულ, მუნიციპალიტეტში, სკოლისათვის მზაობის ჯგუფებში ჩართულია და სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს გადის 47 ბავშვი. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის სუბსიდია 2020 წელს შეადგენდა 250 000 ლარს.

ქვეყანაში COVID- 19 გამო შეწყდა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე 150 ბავშვს მათგან ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი - 138 ბავშვი, სოფელ გლოლის საბავშვო ბაღი - 6 ბავშვი, სოფელ ღების სასკოლო მზაობის ჯგუფი - 2 ბავშვი, სოფელ უწერის სასკოლო მზაობის ჯგუფი -2 ბავშვი, სოფელ პიპილეთის სასკოლო მზაობის ჯგუფი -2 ბავშვი, დაურიგდა 18/22 დასახელების არამალფუჭებადი პროდუქტი ექვს ეტაპად, თანხით 36 760 ლარი.

2020 წლის 4 დეკემბერს დაიწყო ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო - სარემონტო სამუშაოები თანხით 6909 900 ლარი.

სამსახურის მიერ, Covid-19 დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს დროულად მიეწოდათ, აღმზრდელებს მიეცათ რეკომენდაციები დისტანციური სწავლების პროცესის მართვასთან დაკავშირებით. საჭიროების მიხედვით გაეწიათ მეთოდური დახმარება, დროულად გადაეგზავნათ ყველა საჭირო მეთოდური ლიტერატურა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 9 საჯარო სკოლა. აქედან 6 სკოლა საშუალო, ხოლო 3 სკოლა საბაზოა. მოსწავლეთა რაოდენობა 2020-2021 სასწავლო წლისათვის მთლიანად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 548 ბავშვს შეადგენს. მათგან I კლასში - 52, II კლასში - 50, III კლასში - 57, IVკლასში - 54, V კლასში - 48, VI კლასში - 39, VII კლასში - 41, VIII კლასში - 28, IX კლასში - 40, X კლასში - 45, XI კლასში - 51, XII კლასში - 43.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლებში შექმნან გარემო, რომელიც დააკმაყოფილებს მოცემულ სტანდარტებს, ამის დამადასტურებელია ის რომ 2020 წელს სოფელ ღების საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დაიხარჯა 44 276 ლარი, ასევე დასრულდა სოფელ შეუბნისა და ღარის საჯარო სკოლების არსებული სველი გარე წერტილების დემონტაჟი, ახლის მონტაჟი და წყალ-კანალიზაციის მოწყობა თანხით - 12,718 ლარი, სოფელ ჭიორის სკოლას ჩაუტარდა 94.999 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოეწყო წყალ-გაყვანილობა და კანალიზაცია, ჩატარდა ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები, მოეწყო გამწმენდი ნაგებობა და სხვ. ასევე ჩატარდა საამშენებლო სამუშაოები სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლაში თანხით 203.989 ლარის, მოწესრიგდა წყალმომარაგება და კანალიზაცია, ჩატარდა ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები, მოეწყო გამწმენდი ნაგებობა და შემოკავდა ეზო.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებები ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც არაფორმალურ განათლებაში ჩართულია 248 ბავშვი. საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალურ განათლებას ხელმძღვანელობს 29 პედაგოგი. 2020 წლის დაფინანსება (სუბსიდია) არაფორმალური განათლების მიმართულებით შეადგენდა 113 700 ლარს.

● **კულტურა:** ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას კულტურულ მომსახურებას უწევს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი, რომლის სუბსიდიაც 2020 წელს შეადგენდა 112 300 ლარს. მიმდინარე წელს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის კულტურის სახლის ცენტრალური გათბობის მოწყობისა და სხვა სარემონტო სამუშაოებისთვის გამოიყო 101 865 ლარი.

კულტურის სახლის სხვადასხვა წრეებში ჩართულია 212 ბავშვი და მოზარდი. მიუხედავად პანდემიისა შემოქმედებითმა ჯგუფმა შეძლო ჩაეტარებინა რიგი ღონისძიებებისა: ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი საღამო, ქორეოგრაფიული წრის აღსაზრდელთა გასტროლები ბაკურიანში ფესტივალზე „ზამთრის ფანტაზია“, მონაწილეობა მიიღეს „ილიაობა 2020“ საგურამოში, აღინიშნა ევროპის მემკვიდრეობის დღეები. მომავალში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად, ორგანიზაციას მოუწევს ონლაინ ღონისძიებების დაგეგმვა და ღია სივრცეების გამოყენება.

მოსახლეობას წიგნით მომსახურებას უწევს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა და 17 სასოფლო ბიბლიოთეკა, 61 526 ცალი წიგნადი ფონდით. 2020 წელს სუბსიდიის სახით

გამოყოფილი იყო 63000 ლარი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაქირავებულ შენობებშია ღების, და ჯინჭვისის ბიბლიოთეკები, ხოლო ონის ბიბლიოთეკის შენობა გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. მიუხედავად პრობლემებისა ბიბლიოთეკა აქტიურად ანხორციელებდა გეგმით გაწერილ ღონისძიებებს ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ევროპის მემკვიდრეობის დღეებთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს ბიბლიოთეკაში მოეწყო ბულგარელი ადვოკატის, ალექსანდრე სტოიანოვის შესახებ გამოფენა რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა , ბულგარეთის სახელმწიფოს ელჩის ქალბატონ დესისლავა ივანოვას წერილში ონის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ დავით ჩიკვაიძისა და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის ქალბატონ ანნა ერისთავისადმი ვკითხულ;ობთ: ,, ძალიან ამაყი ვარ, რომ რაჭის რეგიონი ხდება მესამე ქართული რეგიონი თბილისს გარეთ, რომელმაც წარადგინა მემკვიდრეობა და ცხოვრება საქართველოს დიდი ბულგარელი მხარდამჭერისა, რომელიც იმსახურებს ჩვენს პატივისცემას, განსაკუთრებით ჩვენს ხალხებს შორის კავშირის შექმნის კონტექსტში; თქვენმა ინიციატივამ დაამტკიცა, რომ ამ კავშირმა უამრავ წელს გაუძლო“.

მნიშვნელოვანი და ხარისხიანი სამუშაოები განხორციელდა 2020 წელს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალ მშენებლობაზე, რომელიც სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. დამკვეთი სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მშენებლობის საერთო ღირებულება შეადგენს 5.522.185.00 (ხუთი მილიონ ხუთას ოცდაორი ათას ასოთხმოცდახუთი ლარი). მუზეუმის მშენებლობას აფინანსებს საქართველოს მთავრობა. ნაყოფიერი იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის 2020 წელი. წლის მანძილზე, პანდემიის მიუხედავად, 13 ექსპედიცია განახორციელა და არაერთი არტეფაქტი შეემატა მუზეუმს. ახლა მიმდინარეობს მასალების მეცნიერული დამუშავება.

- **სპორტი:** მუნიციპალიტეტი ზრუნავს სპორტის განვითარებისთვის. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის სუბსიდია 2020 წელს 161 175 ლარს. მერიამ, სასპორტო კომპლექსის ექსპლუატაციისათვის, სარემონტო სამუშაოებზე გამოყო 72 823 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამის ფარგლებში მოეწყო 4 მინი სტადიონი: სოფელი ქვედი, თანხით 14 000 ლ., სოფელი ხირხონისი - 12 000 ლ., სოფელი ქვედრულა - 10 000 ლ., სოფელი ირი - 15 000 ლ. ასევე სოფელ ზუდალში მოეწყო დასასვენებელი სკვერი, თანხით 10 000 ლ.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსში ფუნქციონირებს ფეხბურთის, კალათბურთის (გოგონები, ვაჟები) და ჭიდაობის 3 სტილის (თავისუფალი, ქართული, ბერძნულ-რომაული) სექცია. სპორტულ სექციებში გაერთიანებულია 110 ბავშვი.

მიუხედავად Covid-19 პანდემიისა, ონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა აქტიურად ჩაერთო ევროპის სპორტის კვირეულში, რომელიც უკვე მესამედ ჩატარდა, 18 სექტემბერიდან 25 სექტემბრის ჩათვლით - ოთხ სპორტულ სახეობაში, გეზრბენი, ჭადრაკი, ბადმინტონი და მინი ფეხბურთი.

ტურიზმი: ა(ა)იპ ტურისტული საინფორმაციო ცენტრის სუბსიდია 2020 წელს შეადგენდა 34 000 ლარს. მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი ნამდვილად იძლევა იმის შესაძლებლობას,

რომ ეტაპობრივად, განვითარდეს- საკურორტო, სამკურნალო, ეკო-, კულინარიული, აგროტურიზმი და სხვ. დღეისათვის მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 71 საოჯახო სასტუმრო, აღრიცხულია 332 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ტაძარი, ისტორიული ადგილი. გვაქვს 15 ტურისტული მარშრუტი. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მიერ აღირიცხა ვიზიტორების რაოდენობა და მათი გამოთვლით, ონის მუნიციპალიტეტში ვიზიტორების რაოდენობამ 2020 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით, შეადგინა 5181 ადამიანი. თუმცა ეს რიცხვი ზუსტად არ ასახავს რა რაოდენობის ვიზიტორი შემოდის წლის მანძილზე, რადგანაც აღრიცხვის მეთოდოლოგია დახვეწას მოითხოვს.

● **ახალგაზრდობა:** ინტელექტუალური შესაძლებლობების თვითრეალიზების ხელშესაწყობად, მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილია საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“.
ონის მუნიციპალიტეტის მერიის დამსახურებით, მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებს izrune.ge-ს ტესტების გავლა უფასოდ შეუძლიათ.
საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობასა და ახალგაზრდობის სააგენტოს შორის აქტიური თანამშრომლობა იწყება. ამ თანამშრომლობის შედეგია რაჭის ახალგაზრდული ასამბლეის დაფუძნება მიმდინარე წლის 27 სექტემბერს. 22 ნოემბერს ჩატარდა რაჭის ახალგაზრდობის ასამბლეის პირველი გენერალური ასამბლეა და რაჭის ახალგაზრდული ასამბლეის პრეზიდენტად არჩეულ იქნა 23 წლის თამარ ხომასურიძე.

● **ჯანდაცვა:** ახალი კორონავირუსილი ინფექციის Covid-19 დიაგნოსტირების მიზნით, სულ ჩატარდა 905 პჯრ ტესტი და 117 სწრაფი, მარტივი, ანტიგენზე დამყარებული ტესტი.

გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილია 648 მოქალაქე.

“C” ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოკვლეულია 10 მოქალაქე, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას.

● **სოციალური დაცვა:**

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის N26 დადგენილებით დამტკიცებული დანართის ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, პროგრამიდან 2020 წელს ფინანსური ფულადი დახმარება გაეწია ონში რეგისტრირებულ მუდმივად მცხოვრებ 590 ბენეფიციარს ჯამში **127 608** ლარის ოდენობით.

**დაფინანსების თანხა პროგრამების მიხედვით გაიცა შემდეგნაირად:**

- **ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლიდან 215 ბენეფიციარზე გაიცა 72 253. 78 ლარი:** ავადმყოფთა დასახმარებლად სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებზე, სტაციონარულ მედიკამენტურ და ქირურგიულ მკურნალობაზე, **146** მოქალაქეზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება ჯამში - **65 392.14** ლარი.

ჰემოდიალიზის კომპონენტის **4** მოსარგებლეზე გაიცა **4800** ლარი (თითოეულზე თვეში 100 ლარი).

უფასო მედიკამენტების უზრუნველყოფის მუხლიდან ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა **21** ონკოლოგიურ ავადმყოფზე, ჯამში **2061.64** ლარი (თითოეულზე 100 ლარის ოდენობით).

- **არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე პირთა დახმარების მუხლიდან ფულადი დახმარება გაიცა 72 ბენეფიციარზე 14 400 ლარი.**

  არასაპენსიო ასაკის 36 შშმ პირზე გაიცა 10 800 ლარი ( თითოეულზე 300 ლარი).
  საახალწლო - საშობაოდ 13 შშმ პირზე გაიცა 1300 ლარი ( თითოეულზე 100 ლარი).
  1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 18 წლამდე შშმ და სსსმ პირ 17 ბავშვზე გაიცა 1700 ლარი ( თითოეულზე 100 ლარი).
  საახალწლო - საშობაოდ 6 ბავშვზე გაიცა 600 ლარი (თითოეულზე 100 ლარი).

- **მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით 104 ოჯახზე გაიცა 25 550 ლარი:**
  ერთჯერადი ფულად დახმარება გაიცა 37 ახალშობილ ბავშვზე და 75 მრავალშვილიან ოჯახზე :
  10 ახალშობილ ბავშვზე გაიცა 3500 ლარი. (თითოეულზე 350 ლარი )
  15 ახალშობილ ბავშვზე და მეორე შვილზე გაიცა 6000 ლარი. (თითოეულზე 400 ლარი )
  10 ახალშობილ ბავშვზე და მესამე შვილზე გაიცა 5000 ( თითოეულზე 500 ლარი)
  1 ახალშობილ ბავშვზე და მეოთხე შვილზე გაიცა 550 ლარი;
  1 ახალშობილ ბავშვზე და მეექვსე შვილზე გაიცა 650 ლარი;

  56 სამშვილიან ოჯახზე გაიცა 8400 ლარი (თითოეულ ოჯახზე 150 ლარი).
  6 ოთხშვილიან ოჯახზე გაიცა 1200 ლარი (თითოეულ ოჯახზე 200 ლარი).
  1 ხუთშვილიან ოჯახზე გაიცა 250 ლარი.

- **მარჩენალდაკარგულ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დახმარების მუხლიდან 38 ბავშვზე გაიცა 5500 ლარი.**
  სასწავლო წლის დაწყებისთვი ფულადი დახმარება გაიცა 38 მარჩენალდაკარგულ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვზე 3800 ლარის ოდენობით. (თითოეულ ბავშვზე 100 ლარი);
  საახალწლო-საშობაოდ მარჩენალდაკარგულ 17 ოჯახზე გაიცა 1700 ლარი (თითოეულ ოჯახზე 100 ლარი).

- უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველსაყოფად, ბინის ქირის საფასური გაიცა 4 ოჯახზე, თვეში 100 ლარი: ჯამში - 3800 ლარი.

- **გარდაცვლილი ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება** გაიცა - ომის ვეტერანის 1 ოჯახზე 250 ლარის ოდენობით.

- **ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 1 ხანდაზმულ მოქალაქეზე (100 წლის და მეტი ასაკის ) ერთჯერადი ფულადი დახმარება** გაიცა 500 ლარი.

- **უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვისთვის** რომელსაც არ ჰყავს პირველი და მეორე რიგის მემკვიდრე 2 გარდაცვლილ პირზე გაიცა 500 ლარი.

- **ხანძრისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მუხლიდა** თანხა არ გაცემულა.

- **ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების მუხლიდან 29 პირზე გაიცა ჯამში 3 100 ლარი:**

  საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე ქალებზე 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით: 1 ვეტერან ქალზე გაიცა 100 (ასი) ლარი;

  9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის 2 ვეტერანზე გაიცა ფულადი დახმარება 400 ლარი (თითოეულზე 200 ლარი);

  26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა, 9 ვეტერანის ოჯახზე (თითოეულ ოჯახზე) გაიცა ერთჯერადი ფულადი შემწეობა 900 ლარი (თითოეულზე 100 ლარი);

  17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით 8 სოციალურად დაუცველ ომის ვეტერანზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 800 ლარი (თითოეულზე 100 ლარი);

  საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა **9** ოჯახზე გაიცა საშობაო საჩუქარი (თითოეულ ოჯახზე 100 ლარი ) **900** ლარი;

- **ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანთა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახებზე,** დასუფთავების მოსაკრებლი დაიფარა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, **წყლის გადასახადზე დახმარება გაიცა ( ოჯახზე 109 ) 242 / 233 ბენეფიციარზე. ჯამში - 955,5 ლარი.**

  მეორე მსოფლიო ომის 2 ვეტერანზე ზამთრის სეზონისთვის საშეშე მერქნის შესაძენად გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 800 ლარი (თითოეულზე 400 ლარი);

- **საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის N2437 განკარგულებით, ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში** ( წედისი, ირი, სხანარი, ქვედი, გლოლა, გომი, ღარი) მცხოვრებ 282 ოჯახზე, გამოსაზამთრებლად გამოიყო და ჩაირიცხა 56 400 ლარი (თითოეულ ოჯახზე 200 ლარი). აგრეთვე სოფელ ღარში მცხოვრებ (მოზამთრე) გაზის აბონენტთა 112 ოჯახს (თითოეულ ოჯახს) დაერიცხა 200 ლარი.
  **2020 წელს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის თაობაზე შემოსულია 599 განცხადება.**

- მათ შორის:
- სტატუსის მინიჭებაზე მიღებულია - 197 განცხადება.
- სტატუსი  მიენიჭა 177 მოქალაქეს,  უარი ეთქვა 13 მოქალაქეს; განხილვის გარეშე შეწყდა 5 განცხადება;
- სტატუსის მინიჭებაზე განხილვის პროცესშია 2 განცხადება;
- სტატუსის აღდგენაზე  შემოსულია და დადებითად დაკმაყოფილდა  განცხადება;
- საჯარო რეესტრიდან მიღებულია - 193  შეტყობინება სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
- გარდაცვალების გამო სტატუსის შეუწყდა 188 პირს; რეგისტრაციის ცვლილების გამო სტატუსის შეუწყდა 3 მოქალაქეს;
- განხილვის გარეშე შეწყდა 2 განცხადება;
- მთის სტატუსის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია 208 განცხადება;
- გაიცა 204 ცნობა,  მთის სტატუსის არ ქონის გამო ვერ დაკმაყოფილდა 4 მოქალაქე;

ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს,  საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი ჰქონდა განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში, 14 პროექტის - თანხით 77 333 ლარი, განხორციელება. არცერთი პროექტი არ განხორციელდა Covid-19 პანდემიის გამო.

ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ყველა საჯარო მოხელე Covid – 19 პერიოდში, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სამსახურეობრივ მოვალეობებს და ჩართული იყვნენ პანდემიასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებში.

პატივისცემით,

მანანა ჩაგელიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი

## ❖ ადმინისტრაციული სამსახური

2020 წელს  მუნიციპალიტეტის მერიაში, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა სამსახურებიდან შემოსულია - 8762 კორესპოდენცია,  წერილების უმრავლესობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან არის შემოსული -4070. ასევე, შემოსულია მოქალაქეების განცხადებები, ძირითადად სოციალურ  დახმარებასთან დაკავშირებით, ისევ აქტუალურია მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენის მოთხოვნა. სულ გამოცემულია-4252 სამართლებრივი აქტი. კერძოდ: გასული ადმინისტრაციული ბრძანება -2104, რომელიც მთლიანად მიწის რეგისტრაციას ეხება და  შიდა ადმინისტრაციული ბრძანება - 2148. ასევე, გამოცემულია  273 -კადრების ბრძანება. მუნიციპალიტეტის მერიიდან გასულია - 4592 კორესპოდენცია: როგორც მოქალაქეებზე, ისე სხვადასხვა ინსტანციებში. დამუშავდა 2013 წლის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ასევე 2014 წლის საკრებულოს სხდომის, ბიუროს და აღიარების კომისიის სხდომის ოქმები, რომლის გადაგზავნაც დღეის მდგომარეობით შეჩერებულია ცენტრალური არქივის მიერ.

რაც შეეხება MMS-სისტემას სულ შემოსულია 552 განცხადება სოციალურ დახმარებებზე, აქედან დასრულებულია დადებითა 548. ხოლო მშენებლობასთან დაკავშირებით შემოსულია- 115 განცხადება, დასრულებულია 99.

მიმდინარე წლის განმავლობაში, ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ინფორმაციის მიწოდება, როგორც პრობლემების, ასევე დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების შესახებ. ქალაქ ონში, მერის წარმომადგენელი ჩვეულ რეჟიმში ახორციელებდა მოქალაქეთა მიღება-კონსულტაციას სხვადასხვა საკითხზე. მონიტორინგს უწევდა მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. 2020 წელს მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილებაში შემოსულია სულ 5870 კორესპოდენცია, მათ შორის მიწის რეგისტრაციის შესახებ შემოსულია 4070 განცხადება, აქედან 2450 შესრულებულია და გადაცემულია შესაბამის უწყებას, დანარჩენი სრულდება ეტაპობრივად, კანონით გათვალისწინებულ ვადებში. 1800 კორესპოდენცია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ შემოტანილ მოხსენებით ბარათებს, რომელთა საფუძველზეც გაცემულია სხვადასხვა სახის ცნობები.

მაღალმთიანობის სტატუსის მინიჭების შესახებ დარეგისტრირდა 141 განაცხადი, ხოლო, მაღალმთიანობის სტატუსის შესახებ 150 ცნობა გაიცა. ყოველდღიურ რეჟიმში 35-მდე მოქალაქეს გაეწია სიტყვიერი კონსულტაცია, როგორც პირადი, აგრეთვე სატელეფონო კავშირის საშუალებით, რომელიც შეეხებოდა მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცესს და მის შესახებ მოქმედ კანონმდებლობას.

იურიდიული განყოფილება მერის წარმომადგენელი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლო პროცესებში, მიმდინარე წელს სულ 6 საქმეზე იყო, აქედან 2 ონის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ხოლო 4 საქმე განხილვის სტადიაშია. სულ მომზადებული იყო 10 შესაგებელი, აქედან 4 საქმეზე პროცესი ჯერ არ ჩანიშნულა. იურიდიული განყოფილების მიერ გადამოწმებულ იქნა სამართლებრივი აქტები და მოხდა შესაბამისი რეაგირება ვიზის სახით. ასევე განყოფილება აქტიურად არის ჩაბმული მიწის რეფორმის საკითხებშიც და მოქმედებას ახორციელებს საქართველოს კანონის ,,მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ'' სრული დაცვით.

იურიდიულ განყოფილებას თავისი წვლილი შეაქვს და მუშაობს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა მონიტორინგზე. ასევე ხდება სტატუსის მქონე პირთა შეწყვეტის შესახებ განცხადების შევსება სსიპ ,,სახელმწიფო სერვისების სააგენტოს'' მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად. მიმდინარე წელს ჩატარდა სხვადასხვა კომისიების სხდომა, სადაც აქტიურად ჩართული იყო იურიდიული განყოფილება.

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის განმავლობაში ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხაში" განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2020 წლის 18 თებერვლის კანონის (N5717-IIს) საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად განისაზღვრნენ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი. ონის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობა განისაზღვრა 23 ერთეულით და აღნიშნული ცვლილება აისახა საშტატო ნუსხაში.

2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში დაემატა ერთი შტატი - საქმისწარმოების საკითხებში II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია.

3. მერიის პროფესიულ საჯარო მოხელის 8 პოზიციაზე თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 100-100 ლარით.

პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობაზე დანიშვნა ხდება კონკურსის საფუძველზე. ონის მუნიციპალიტეტის მერიაში მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge). 2020 წლის განვალობაში 4 ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადდა კონკურსი. ამჟამად მერიაში ვაკანტურია 3 პოზიცია.

„ონის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელის შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესის“ საფუძველზე 2020 წლის ბოლოს განხორციელდა თანამშრომელთა შეფასება. თანამშრომელთა შეფასება განხორციელდება ყოველწლიურად სამსახურების მიხედვით დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები 2020 წლის განმავლობაში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ონლაინ-ტრენინგებში, ონლაინ-კონფერენციებში და ონლაინ-შეხვვედრებში.

ადამიანური რესურსების განყოფილებამ წლის განმავლობაში მოამზადა 273 მერის ბრძანება.

მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის www.oni.gov.ge და facebook გვერდის საშუალებით საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდებოდა მუდმივად განახლებადი ინფორმაცია მერიაში და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ. ხორციელდებოდა მერიის სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიება და სელექცია, ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოების ამსახველი ინფორმაციის მოძიება, აღბეჭვდა, მიმდინარე მოვლენებზე დაუყოვნებლივი რეაგირება. ონის მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრებზე დასწრება და ინფორმაციის გამჭვირვალობის მიზნით გაშუქება. მერია თანამშრომლობს საინფორმაციო სააგენტო newspress - თან და საინფორმაციო პორტალი, მედია ჰოლდგინგთან კვირა kvira.ge - სთან. გვერდის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა და მრავალფეროვანი ინფორმაციის მოძიება ფოტო და ვიდეო მასალის სახით.

მუნიციპალიტეტის მერიის მთავარი პრიორიტეტია თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საჯაროობა, გამჭვირვალობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.